Priority of Best Interests in Juvenile Justice Procedure

Elene Kavtuashvili

PhD Student at school of Law at University of Georgia,
Affiliated Assistant at Caucausus Internatonal University,
Assistant at Millennium Teaching University,
Attorney specializing in criminal and juvenile justice

Email: elene_0101@mail.ru

ABSTRACT

Proper and effective implementation of justice remains the main task of the state at any stage of its development. Juvenile delinquency is an international phenomenon, and as a study of juvenile justice systems around the world shows, no country in the world has escaped this problem. The topic is also relevant for Georgia, as the Juvenile Justice Code came into force on January 1, 2016. This document fully complies with international standards in terms of principles. The Juvenile Justice Code introduced a new concept – in the best interests of the minor. The Code, from the very beginning, states that juvenile justice is based on the best interests of minors. "In the process of juvenile justice, the best interests of the minor shall be taken into account first and foremost," emphasizes Article 4 of the Juvenile Justice Code. All subsequent norms are intended to ensure that juvenile justice is carried out on the basis of this fundamental principle.

The article "Priority of Best Interests in the Juvenile Justice procedure" discusses the notion of the best interests of the minor, its essence, significance and priority for the implementation of the juvenile justice procedure in accordance with international standards. At the same time, the article uses historical-legal, formal-logical and comparative methods, and the methodological basis of the research are international conventions.

KEYWORDS: Child, The Court, Criterion

„კაცობრიობამ ბავშვებს ყველაფერი საუკეთესო უნდა შესთავაზოს, მათ შორის მართლმსაჯულება“.
(ბავშვის უფლებათა დეკლარაცია, გაეროს გენერალური ასამბლეა, 1959 წლის 20 ნოემბრის რეზოლუცია)

შესავალი

2016 წლის 1-ელ იანვარს ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც პრინციპების დონეზე სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად კი, არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა მიიღონ არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, არასრულწლოვნის ასაკი, ხოლო განაჩენის სიმძიმე განისაზღვროს იმგვარად, რომ შემდგომში ხელი შეუწყოს არასრულწლოვნის საზოგადოებაში დაბრუნებას და არ უნდა იყოს მიმართული არასრულწლოვნის დასჯისკენ.[1] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი საწყისშივე მკაცრად აცხადებს რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობას ეფუძნება.[2] „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები“ [3]– ხაზგასმით მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე – 4 მუხლი. ყველა შემდგომი ნორმა, სწორედ, იმას ემსახურება რომ არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების პროცესი ამ ფუძემდებლური პრინციპის საფუძველზე ხორციელდებოდეს.

1. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების არსი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის (ძირითად ტერმინთა განმარტება), მე-4 ნაწილი განმარტავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რაც გულისხმობს: არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესებს, რომლებიც განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით აყალიბებს სპეციფიკურ მიდგომას მის მიმართ და ორიენტირებულია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე. შესაბამისად, ყველა შესაძლო შემთხვევაში ხაზგასმულია რომ

1 მუხლი 37 (ბ), გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია. ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი. N10, პარ. 28.

2 ჩხეიძე, ი., 2015. ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში., გვ. 4. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/ChkheidzeIa.pdf

3 მუხლი 4, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16

თავდაპირველად მხედველობაში მიიღება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. ამ მიდგომის ერთ-ერთი მიზეზი, ასევე, არის არასრულწლოვნის შემდგომი რესოციალიზაციის სიმარტივე მსუბუქი ზომების გამოყენებით, რამდენადაც არასრულწლოვანს არ აქვს განვითარება დასრულებული და მისი ინტერესებიდან გამომდინარე მისივე გამოსწორებისთვის, როგორც წესი, უმჯობესია სასამართლოში საქმის წარმოების ან სხვა მკაცრი ზომების მიღების თავიდან აცილება. „საუკეთესო ინტერესების" ტესტი მოითხოვს რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას.[4] „საუკეთესო ინტერესის ტესტი" ასევე გულისხმობს მოსამართლის მხრიდან იმის გათვალისწინებას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს პროპორციული, არასრულწლოვანის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს.[5]

არასრულწლოვნის მიმართ, საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. რაც მთავარია, არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნა უნდა მოხდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილ განაჩენში უნდა დაასაბუთოს კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენება.[6]

2. იუვენალური იუსტიციის ჩამოყალიბების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპს არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია გააჩნია. მისი გამოყენება, ძირითადად, 1800-იანი წლებიდან დაიწყო ბავშვის მეურვეობის საკითხების გადასაწყვეტად. კერძოდ, ბავშვის კეთილდღეობა ან საუკეთესო ინტერესები წარმოადგენდა ძირითად დასაყრდენს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[7] არა მარტო საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, არამედ ზოგადად, იუვენალური იუსტიცია სათავეს სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებს.[8]

საერთაშორისო სამართალში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების

4 ჰამილტონი, ქ., 2011. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. ნიუ – იორკი: გვ, 34.

5 სახელმძღვანელო სპეციალისტებისა და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC) და გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), Criminal Justice Handbook Series. New York: United Nations, 2009.

6 ვარძელაშვილი, ს., 2017. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში. სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, 1, თბილისი: გვ. 74.

7 Howe, B. & Covell, K., 2013. Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights perspective on Closing the Achievement Gap. University of Toronto Press, p. 6.

8 ბოხაშვილი, ი. და ბენიძე, მ., 2009. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები. სამართლის ჟურნალი, 2, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, გვ. 35.

პრიორიტეტულობის პრინციპის უპირველეს წყაროდ განიხილება ჟენევის 1924 წლის დეკლარაცია ბავშვთა უფლებების შესახებ, რომელიც არასრულწლოვნების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების აუცილებლობას აღიარებდა. აღსანიშნავია 1948 წლის ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, აგრეთვე ეკონომიკური,სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო ფაქტები. ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან მიმართებით იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია შემდეგი: „საუკეთესო ინტერესების" ტესტი მოითხოვს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ გამოიყენოს დამსჯელობითი ღონისძიებები და ამის ნაცვლად ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვების რეინტეგრაციას."[9] ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება კომპლექსურია და უნდა განისაზღვროს ყოველი ცალკეული საქმის მიხედვით. სწორედ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის კონვენციის სხვა ნორმებთან თანხვედრაში განმარტებით და განხორციელებით შეძლებს კანონმდებელი, მოსამართლე, ადმინისტრაციული, სოციალური თუ საგანმანათლებლო დაწესებულება, განმარტოს ეს ცნება და სათანადოდ გამოიყენოს იგი. შესაბამისად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება მოქნილი და ადაპტირებადია. იგი უნდა მოერგოს და განისაზღვროს ინდივიდუალურად შესაბამისი ბავშვის თუ ბავშვების კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, მათი პირადი კონტექსტის, მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა გავრცელდეს ყველა საკითხზე, რომელიც შეეხება ბავშვებს და გათვალისწინონ კონვენციასა თუ ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს შორის ნებისმიერი შესაძლო წინააღმდეგობის გადასაწყვეტად. ყურადღება მიექცეს გადაწყვეტის ისეთი შესაძლო გზების განსაზღვრას, რომლებიც შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტრესებს. ეს გულისხმობს იმას, რომ განხორციელების ღონისძიებების შემუშავებისას სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაადგინონ ყველა ბავშვის, მათ შორის მოწყვლადი ბავშვების, საუკეთესო ინტერესები. [10]

საუკეთესო ინტერესის პრინციპის გამოყენება მოითხოვს საკითხის განხილვას არსებითი სამართლებრივი და საპროცესო ნორმების მიღმა. ამასთან, ამ პრინციპის გამოყენება საჭიროებს არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროს სპეციალისტების, არამედ სხვა მონაწილეების ჩართვასაც. სოციალური და კეთილდღეობის პროფესიონალები, ფსიქოლოგები და ბავშვის ადვოკატები არიან ისინი, ვინც აქტიურად უნდა ჩაერთონ პროცესში. მათი მონაწილეობა უნდა დაიწყოს, სწორედ, იმ მომენტიდან, როდესაც მოხდება ბავშვის პირველი შეხება მართლმსაჯულების სისტემასთან. პრაქტიკაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესებმა შეიძლება გადაწონოს მშობლის ინტერესებიც და შეიძლება მოითხოვოს ოჯახური ავტონომიის დაშლაც.[11] არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის ან ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის ცნება ორ საკითხს აერთიანებს: კონტროლს და გამოსავლის ძიებას. კონტროლის კრიტერიუმი გულისხმობს ბავშვის უფლებებისა და

9 Hamilton, C., 2015. Guidance for Legislative Reform on Juvenile Justice. p. 34.
10 Schepard, A., 2009. Best Interests of the Child. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: childcustodyproject.org/essays/best-interests-of-the-child, p. 32.
11 Frank, B., 2010. Evidence, Child Sexual Abuse and High Court of Australia, International and Comparative Law Quarterly, Vol. 39, p. 413.

მასთან მიმართებით არსებული ვალდებულებების ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფას, ხოლო, გამოსავლის ძიების კრიტერიუმი – გადაწყვეტილების მიღების დროს ყველა შესაძლო გამოსავალი მოიძიონ და შეაფასონ კონკრეტულ შემთხვევაში, რაც ბავშვის კონკრეტულ ინტერესს განეკუთვნება.[12] ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების მოქნილობა შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს რეაგირება ყოველი ცალკეული ბავშვის მდგომარეობაზე და გაიზარდოს ცოდნა ბავშვის განვითარების შესახებ. [13]

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნიკალური საქმიანობაა, რომელიც უნდა განხორციელდეს თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში თითოეული ბავშვის, ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ეს გარემოებები შეეხება შესაბამისი ბავშვის ან ბავშვების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორიცაა ასაკი, სქესი, სიმწიფის ხარისხი, გამოცდილება, უმცირესობათა ჯგუფისადმი კუთვნილება, ფიზიკური, სენსორული ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის ქონა, ისევე, როგორც სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც ბავშვი ან ბავშვები აღმოჩნდებიან.[14]

ბავშვის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს სამართლიანი, უსამართლოდ გამოყენებულ სასჯელს მივყავართ მავნე შედეგებამდე, მოზარდის აღშფოთება-გაბოროტებამდე. აღსანიშნავია, რომ საუკეთესო ინტერესების დაცვის ცნება მოქმედებს უშუალოდ თითოეული არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც მართლმსაჯულების პროცესში ჩაერთვება. ამგვარი მიდგომა მისასალმებელია, რადგან საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული სისტემა აღიარებს, არასრულწლოვანს, ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად, ყურადღებას ამახვილებს იმის აუცილებლობაზე რომ არასრულწლოვნებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკარნახევი იყოს, უპირველეს ყოვლისა, მათი საუკეთესო ინტერესით. აქედან გამომდინარეობს, რომ საუკეთესო ინტერესების ინსტიტუტი მოითხოვს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნების რეინტეგრაციას და არა მათ დასჯას.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს კანონმდებლობაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპის დამკვიდრებაზე, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას, როგორიცაა, სამართალდამცავ ორგანოსთან არასრულწლოვნის პირველი კონტაქტიდან სასჯელის მისჯისა და სასჯელის შემდგომი ზრუნვის ჩათვლით. აღნიშნულთან დაკავშირებით, თავად გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლიც ადგენს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიმართ ნებისმიერ მოქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებლი სუბიექტი, სასამართლო, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანო – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზ-

12 შაპოვიჩი, ნ., დოეკი, ე. და ცერმატენი, ჟ., 2012. ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში. თბილისი: გვ. 111-112.

13 კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული საკანონმდებლო ჩარჩო, ზოგადი კომენტარი N5, პუნ. 45. 2018. თბილისი: გვ. 17.

14 UNHCR– Guidelines on Determining the Best Interests of the Child, 2008. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: www.unhcr.org/4566b16b2.pdf

რუნველყოფას.[15] არასრულწლოვნის მართლმსაჯულებათა კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.[16] არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა უნდა მოხდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში და წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პროცესს, ასევე, მხედველობაში უნდა მიიღონ არასრულწლოვანის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას.[17]

პეკინის წესი 14.2 მოითხოვს, რომ სასამართლო პროცესი წარიმართოს ურთიერთგაგების ატმოსფეროში, არასრულწლოვნის უმთავრესი ინტერესების დაცვით, რაც საშუალებას მისცემს არასრულწლოვანს თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა პროცესში და გამოხატოს თავისი აზრი. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო," ასევე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვნის შესაძლებლობას დაიცვას თავი და სრულად ხვდებოდეს სასამართლო პროცესის შინაარსს.[18]

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები მიზნად ისახავს კონფლიქტის არასისხლისსამართლებრივი გზით გადაწყვეტას, სწორედ, ამ შინაარსის არის ტერმინი „დივერსიონ" (გადახრა, აცილება), რაც აქტიურად გამოიყენება საერთო და კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. აღნიშნული პრინციპი განიხილება, როგორც, ერთგვარი შერიგება ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის.[19] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას ანდა გადაწყვეტილების მიღებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უკეთ უზრუნველყოფას. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ: „არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას".[20] ყველა შესაფერის შემთხვევაში უნდა განიხილონ, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ, სასამართლო წარმოების ალტერნატიული ზომის (განრიდების) გამოყენება. ნებისმიერი არასასამართლო ზომა ან მოქმედება, რომელიც გამოიყენება სასამართლოში საქმის განხილვის ნაცვლად (განრიდება), ბავშვისათვის უნდა უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრულ პატივისცემას.

განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

15 სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი 2015. დასკვნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით. თბილისი: გვ. 1.
16 მუხლი 13(2), არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, პეკინის წესები, წესი 14(2) და ევროპული წესები, წესი 5.
17 გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, კომ. 12, პარ. 70-71, 74.
18 Hamilton, C., 2015. Guidance for Legislative Reform on Juvenile Justice. p. 46.
19 აქუბარდია, ი., 2016. განრიდების ინსტიტუტის სრულყოფის შესახებ. [Improvement of the diversion]. გურამ ნაჭყეპია – 75 საიუბილეო კრებული, თბილისი: გვ. 62.
20 მუხლი 8, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16

დაფუძნებულია ექვს ძირითად პრინციპზე, ხოლო, აღნიშნულ პრინციპებს შორის პირველია „ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა“. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის N120 ბრძანებით-მოცემული პრინციპი ასეა განმარტებული: ,,დანაშაულის ჩამდენი პირის ინტერესისა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხშირად უნდა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და საპატიმრო ღონისძიებების ალტერნატივების გამოყენება. თუ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული,პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სისხლის სამართლის სისტემიდან მის განრიდებას.”[21] აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება პროკურატურის მიერ არასრულწლოვნების მიმართ განრიდებით დასრულებული საქმეები და იკლებს სასამართლოს მიერ საქმის პროკურატურისათვის დაბრუნების შემთხვევები, არასრულწლოვნისათვის განრიდების გაფორმების მოთხოვნით. ცალსახად უნდა აღინიშნოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიერ დადგენილი ნორმა, რომლის მიხედვითაც 18-21 წლის მოზარდების მიმართაც შეიძლება განრიდებისა და მედიაციის ღონისძიებების გამოყენება. არაასრულწლოვანთა უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები, თითქმის ყოველთვის, დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას ემხრობიან, რაც გამომდინარეობს, სწორედ, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან, ხოლო, მედიაციის მიზანია გამოასწოროს დანაშაულით გამოწვეული დავა, რაც ასევე, მეტად მნიშვნელოვანია როგორც არასრულწოვნისთვის, ისე დაზარალებულისთვის.

3. არასრულწლოვანთა ინტერესების გათვალისწინება სასამართლო პრაქტიკაში

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების შეფასებაზე მსჯელობისას, საინტერესოა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის (ზ265ა3-15) გადაწყვეტილება, რომელიც ჯერ კიდევ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდეა გამოტანილი. საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და განმარტა, რომ იმ დროისთვის მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც კრძალავდა პირობითი მსჯავრის გამოყენების შეუძლებლობას, იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისთვის მსჯავრდებულს შეუსრულდა 18 წელი, მიუხედავად დანაშაულის არასრულწლოვნობის დროს ჩადენისა, რაც ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო აქტებს. საკასაციო პალატამ არასრულწლოვანს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი პირობითად ჩაუთვალა.

ასევე, განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 ივლისის განაჩენი, რომლითაც არასრულწლოვნები ნ.მ. და დ. ტ. ცნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად: „ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ

21 მუხლი 3 (ბ), საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება N120, დანართი [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020].ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195?publication=0

უკიდურესი ზომა, რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში“. [22] სასამართლო განაჩენის დასაბუთებისას მსჯელობს, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ნებისმიერი გადაწყვეტილება ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესსა და ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ტრადიციული ამოცანები, როგორიცაა დასჯა, ნაკლებად პრიორიტეტულია, ვიდრე მისი რესოციალიზაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ამოცანები. ამავე კონვენციის მე-14 მუხლი ადგენს, რომ ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას, უპირატესი ყურადღება ბავშვის საუკეთესო ინტერესს უნდა მიენიჭოს. ეს გულისხმობს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ შეიძლება გათვალისწინონ იმავე ხარისხით, როგორც სხვა მოსაზრებანი.

აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე და 75-ე მუხლების მოთხოვნები, მხედველობაში მიიღო არასრულწლოვანი ბრალდებულების კეთილდღეობის, განათლების განვითარების ინტერესი და მიიჩნია, რომ სასჯელის მიზნების მიღწევა მათ მიმართ შესაძლებელი იქნებოდა თავისუფლების აღკვეთის პირობითად ჩათვლის შემთხვევაში.

ცალსახაა, რომ სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვთა კეთილდღეობაზე, ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს განხილვის საგანს და მისი ბუნებიდან, სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება აჭარბებდეს სხვა ინტერესებს.[23] აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლება, ეფექტურად მიიღოს მოანაწილეობა მის სასამართლო პროცესში, inter alia, გულისხმობს არა მხოლოდ დასწრების, არამედ საქმის მოსმენისა და თვალყურის დევნების უფლებასაც. (იხილეთ Stanford v. the United Kingdom, გადაწყვეტილება, 23 თებერვალი 1994) ბავშვის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, მისი ასაკის, სიმწიფისა და ინტელექტუალური, ემოციური შესაძლებლობების გათვალისწინება, იმისათვის, რომ მან სრულად გაიაზროს და სრულყოფილი მოანწილეობა მიღოს სასამართლო პროცედურებში (იხილეთ T.v the United Kingdom)ასევე, მნიშვნელოვანია სასამართლო განხილვის ისე ჩატარება, რომ მაქსიმალურად ავიცილოთ თავიდან ბრალდებულის დაშინება და დათრგუნვა. ცალსახაა, რომ სასამართლოში გამოყენებული ენა ძნელი გასაგებია რიგითი მოქალაქეებისთვის და უფრო მეტად ბავშვებისთვის. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბავშვებს მიეწოდოთ ინფორმაცია, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათთვის გასაგები ენითა და ფორმით. [24]

სასამართლომ საქმეზე „ს.ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ მიიჩნია, რომ როდესაც საქმე ეხებაა ისეთ ბავშვს, როგორიც მომჩივანია (11 წელი), არსებობს რისკი რომ იგი ახალგაზრდა ასაკისა და შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების გამო ვერ შეძლებს სისხლის სამართლის საქმის განხილვაში ეფექტურად მონაწილეობას, რადგან საქმე განიხლიება სისხლის სამართალწარმოებისა და არა

22 მუხლი 37, ბავშვის უფლებათა კონვენცია. 1989. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0

23 შეყილაძე, ხ., 2016. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის არსი. სამართლის ჟურნალი, 2, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, გვ. 267.

24 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში. 2020. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში არასრულწლოვან ბრალდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა საპროცესო უფლებების დაცვა. თბილისი: გვ. 35.

სხვა პროცედურული ფორმით, რომელიც გაითვალისწინებს ბავშვის სასიცოცხლო ინტერესებსა და საზოგადოების ინტერესებს. მნიშვნელოვანია, რომ საქმის განხილვა მოხდეს სპეციალიზებულ სასამართლოში, რომელსაც შესწევს უნარი, გაითვალისწინოს ყველა დაბრკოლება, განახორციელოს სწორი მოქმედებები და მოახდინოს პროცედურების საჭიროებისამებრ ადაპტირება. აღსანიშნავია, რომ სპეციალიზებული კადრების არსებობა და არასრულწლოვანთა საქმეების საერთო სასამართლოსაგან დამოუკიდებლად განხილვა ევროპული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრაქტიკაა. ბავშვის უფლებათა კონვენციაც გვეუბნება, რომ როცა საქმე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ეხება, სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ სპეციალიზებული ინსტიტუტები ამ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის. დადგენილების გამოტანისას არასრულწლოვანთა საქმეების მოსამართლეებს გაცილებით მეტი სიფრთხილე მართებთ, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეთა მოსამართლეებს. რადგან, გარდატეხის ასაკამდე ბავშვები ვერ იაზრებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა როლს და ამის შემდეგაც მათი აღქმა შეზღუდულია.[25] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა დაამკვიდრა სპეციალიზაცია, რაც ნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად, იმისთვის, რომ პროცესი ხარვეზების გარეშე წარიმართოს, სავალდებულოა პროცესში მოანაწილე პირები სპეციალიზებულნი იყვნენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. მაშინ, როდესაც არ არის შესაძლებელი შეიქმნას არასრულწლოვანთა ცალკე სასამართლოები, სპეციალიზაცია არის სავალდებულო მოთხოვნა.

განვიხილოთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატის, 2016 წლის 29 ივლისის განაჩენი არასრულწლოვანი ბრალდებულის გ.ზ.-ს მიმართ. პალატა მსჯელობს, რომ 2016 წლის 1-ელი იანვრიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში, მისი საქმის წარმოებისას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-20 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის შესრულებაზე, რომლის მიხედვით, არასრულწლოვნის საქმეს წარმართავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, ეს მოთხოვნა არ დაიცვეს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პირველი ინსტანციის მიერ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, რომელიც დაიწყო 2015 წლის 29 სექტემბერს და დამთავრდა 2016 წლის 12 თებერვალს, ანუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებიდან 1 თვესა და 12 დღეში – რამდენად შესაძლებელია, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვით, სპეციალიზებული ადვოკატის მონაწილეობა საქმეში ჩართულ ადვოკატთან ერთად ან დამოუკიდებლად. აღნიშნულზე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია. კანონის მოთხოვნა დაიცვეს სააპელაციო სასამართლოში, რა დროსაც, საქმის წარმოებაში გ.ზ.-ს ინტერესების დასაცავად ჩართული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი და ის გასამართლდა მისი თანდასწრებით. მას ჰქონდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებების გაცნობისა და თავის დაცვის უფლება. აღნიშნული კი მიეკუთვნება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ პრინციპს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო ფაქტს. (Centre for Civil and Political Rights, მუხ.14).

საქმის წარმოების ყველა ეტაპზე, გამოძიებით დაწყებული, სასჯელის აღსრულებით დამთავრებული, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები უმნიშვნელოვანეს როლს უნდა თამაშობდეს. აღკვეთის ღო-

25 Howe, B. & Covell, K., 2013. Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights perspective on Closing the Achievement Gap. University of Toronto Press. p. 55.

ნისძიების საკითხის განხილვისას სასამართლომ პატიმრობა უნდა გამოიყენოს, მხოლოდ, როგორც უკიდურესი ღონისძიება და აქაც უნდა დაეყრდნოს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს. ამის მიხედვით, შესაძლებელია, შეიცვალოს მომავალში შერჩეული აღკვეთის ღონისძიება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება სასჯელებს, რომლებიც გამოიყენება არასრულწლოვანთა მიმართ, ,არასრულწლოვნისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოირიცხოს ზოგადი (გენერალური) პრევენციის გამოყენება და გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სპეციალური (ინდივიდუალური) პრევენცია.[26] დაუშვებელია სასჯელის მიზანი არასრულწლოვნის დასჯა იყოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენით, რომლითაც პროკურატურა მოითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 დეკემბრის განაჩენში სასჯელის დამძიმების კუთხით ცვლილების შეტანას, იმ გარემოებათა გამო, რომ სასამართლომ გამოიყენა მსუბუქი სასჯელი, რომელიც არ შეესაბამება მსჯავრდებულის პიროვნებას, ჩადენილი ქმედებების სიმძიმეს და დანაშაულთა ერთობლიობიდან გამომდინარე, დარღვეულია, ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის მოთხოვნა. პალატა განმარტავს, რომ არასრულწლოვნის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოებები, მხედველობაში მიიღონ მისი ასაკი და აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა.

სწორედ, არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის, პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია დ. ხ.-სთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის 2 (ორი) წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად, უნდა ჩაეთვალოს პირობით, იმავე – 2 (ორი) წლის გამოსაცდელი ვადით, რაც გარკვეული მოვალეობების დაკისრებასთან ერთად, კიდევ უფრო, ხელს შეუწყობს სასჯელის მიზნების რეალურ შესრულებას – არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა, მისი ნასამართლობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-13 მუხლმა, კიდევ უფრო, გაამყარა, რითაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაც უზრუნველყო, თუმცა, საინტერესოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც: „არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი“.[27] ფრაზა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს, არ მიგვაჩნია სწორად, რადგან იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 74-ე მუხლს,

26 შალიკაშვილი, მ. და მიქანაძე, გ., 2016. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი: მეორე გამოცემა, გვ. 126.

27 მუხლი 73, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16

რომლიც ადგენს, რომ „თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაუთვალოს“,[28] აქაც მიგვაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა ისევ და ისევ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, ყოფილიყო დაშვება განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაულზე და ჩამოყალიბებულიყო ამდაგვარად: „თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე ან განზრახი მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა....“, თუმცა, რასაკვირველია, აქაც აუცილებელია გაითვალისწინონ არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები.

დასკვნა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების დახვეწა, ეფექტური საკანონმდებლო რეგულაციების შექმნა და მათი პრაქტიკაში სწორად გამოყენება ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს ყველა სახელმწიფოსათვის, ვინაიდან, სწორედ, მომავალი თაობის ბედი ქმნის ქვეყნის სიძლიერეს. აღსანიშნავია, რომ მთელს მსოფლიოში ჩამოყალიბებულია განსაკუთრებული მიდგომა არასრულწლოვან დამნაშავეებთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვანი უფრო მსხვერპლად უნდა მოიაზრებოდეს, ვიდრე დამნაშავედ.

მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე სუბიექტებმა გაითავისონ, რომ ამოსავალი წერტილი უნდა იყოს მხოლოდ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი. სწორედ, მას უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი გამოძიებისა თუ საქმის სასამართლოში განხილვისას. საერთაშორისო დოკუმენტებშიც, ძირითადი აქცენტი, განსაკუთრებული პროცედურების შემუშავების აუცილებლობაზე კეთდება. მისასალმებელია, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდგომ, სხვა პრინციპების გამოყენება არასრულწლოვნის მიმართ მაშინ ხდება, თუ იგი არ მოდის წინააღმდეგობაში მის საუკეთესო ინტერესებთან, თუმცა საჭიროა კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწა, განსაკუთრებული ყურადღების დათმობა არასაპატიმრო ღონისძიებებისათვის, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ფორმებისთვისა და რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამებისთვის. აუცილებელია, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღება, რადგან ბავშვები, მათი განვითარების გამო, საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას და ამიტომ არ შეიძლება, მათ ისევე მოეპყრან, როგორც ზრდასრულებს.

28 მუხლი 74, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=1

ბიბლიოგრაფია:

1. Howe, B. & Covel, K., 2013. Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights perspective on Closing the Achievement Gap. University of Toronto Press.
2. Monica, F., 2014. The Land mark Rulings of the Intern-American Ciurt of Human Rights of the Child: Protecting the Most Vulnerable at the Edge. Internetional Studies in Human Rights, Volume 96.

ნორმატიული აქტები:

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16
4. ბავშვის უფლებათა კონვენცია. 1989. [წვდომის თარიღი: 25 მაისი 2020]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება (საქმე N ზ 265 აპ-15).
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 ივლისის განაჩენი. (საქმე N338 აპ-16)
3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 18 ივლისის განაჩენი. (საქმე N1/1831-16)
4. საქმე „ს. ქ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ", განაცხადი #60958/00, სტრასბურგი, 15 ივნისი, 2004.
5. Stanford, v., the United Kingdom, გადაწყვეტილება, 23 თებერვალი 1994.
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 23 თებერვლის განაჩენი (საქმე №1/ბ-118-17).

Bibliography:

1. Howe, B. & Covell, K., 2013. Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights perspective on Closing the Achievement Gap. University of Toronto Press. (in English)
2. Monica, F., 2014. The Land mark Rulings of the Intern-American Ciurt of Human Rights of the Child: Protecting the Most Vulnerable at the Edge. International Studies in Human Rights, Volume 96. (in English)

Normative materials:

1. Convention on the Rights of the Child, 1989. [viewed 25 May 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 (in Georgian)
2. Juvenile Justice Code [viewed 25 May 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16 (in Georgian)

Judicial practice:

1. Stanford, v., the United Kingdom, Decision, 23 February 1994. (in English)
2. Judgment of the Supreme Court of Georgia of June 29, 2015 (Case Z 265 Ap-15). (in Georgian)
3. Judgment of the Criminal Cases Panel of the Tbilisi City Court of July 18, 2016. (Case N1/1831-16) (in Georgian)
4. Judgment of the Criminal Chamber of the Supreme Court of Georgia of July 29, 2016. (Case N338ap-16) (in Georgian)
5. Judgment of the Tbilisi Court of Appeal of February 23, 2017. (Case №1/b-118-17). (in Georgian)
6. The case S. K. Against the United Kingdom, application # 60958/00, Strasbourg June 15, 2004. (in English)

Notes:

1. Article 37 (b), United Nations Convention on the Rights of the Child, General Commentary on the Committee on the Rights of the Child N10, para. (in Georgian)
2. Chkheidze, I., Children's Rights in Juvenile Justice. [viewed 25 May 2020]. Available from: https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/ChkheidzeIa.pdf (in Georgian)
3. Article 4, Juvenile Justice Code. [viewed 16 June 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16 (in Georgian)
4. Hamilton, C., Guidelines for Juvenile Justice Reform. New York: p. (in Georgian)
5. Guidelines for Specialists and Policy Makers on the Justice of Minor Witnesses and Victims, United Nations Office on Drugs and Crime (UNODC) and the United Nations Children's Fund (UNICEF), Criminal Justice Handbook Series (United Nations: New York. (in Georgian)
6. Vardzelashvili, S., The Importance of Prioritizing the Best Interests of Minors as the Most Important Principle of the Juvenile Justice Code in Judicial Practic. Current Criminal Issues, 1 Tbilisi: p. 74 . (in Georgian)
7. Howe, R. B. & Covell, K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights perspective on Closing the Achievement Gap. University of Toronto Press p. (in English)
8. Bokhashvili, I. & Benidze, M., Issues of Juvenile Justice. Law Journal, 2, Tbilisi: TSU Publishing House, p. (in Georgian)
9. Hamilton, C., Guidance for Legislative Reform on Juvenile Justice. p. 34 . (in English)
10. Schepard, A., Best Interests of the Child, p. [viewed 25 May 2020]. Available from: childcustodyproject.org/essays/best-interests-of-the-child (in English)
11. Frank, B., Evidence, Child Sexual Abuse and High Court of Australia, International and Comparative Law Quarterly, Vol. p. (in English)
12. Shapovich, N., Doek, E. & Cermaten J., Children's Rights in International Law. Tbilisi: pp. 111– (in Georgian)
13. International and European Legislative Framework for Children in Conflict with the Law, General Comment N Paragraph Tbilisi: p. (in Georgian)
14. UNHCR– Guidelines on Determining the Best Interests of the Child, [viewed 25 May 2020]. Available from: www.unhcr.org/4566b16bpdf (in English)
15. Center for Civic Involvement. Conclusion on the Juvenile Justice Code. Tbilisi: p. (in Georgian)
16. Article 13 (2), Model Law on Juvenile Justice, Beijing Rules, Rule 14 (2) and European Rules, Rule (in Georgian)
17. UN Convention on the Rights of the Child. 12, par. 70 – 71, (in Georgian)
18. Hamilton, C., Guidance for Legislative Reform on Juvenile Justice. p. 46 . (in English)
19. Akubardia, I., On Improvement of the Diversion, Guram Nachkebia-75 Jubilee Collection, Tbilisi: P. 62 . (in Georgian)
20. Article 8, Juvenile Justice Code. [viewed 25 May 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16 (in Georgian)
21. Order N120 of the Minister of Justice of Georgia of February 1, Annex – Article 3, paragraph "b". [viewed 25 May 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3176195?publication=0 (in Georgian)
22. Article 37, Convention on the Rights of the Child, [viewed 25 May 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0 (in Georgian)
23. Shekiladze, Kh., The Essence of Prioritizing the Best Interests of Minors. Law Journal, 2, Tbilisi: TSU Publishing, p. (in Georgian)
24. Special Report of the Public Defender of Georgia, Protection of the Procedural Rights of Juvenile Defendants, Witnesses and Victims in the Field of Criminal Justice, Tbilisi: p. (in Georgian)
25. Howe, B. & Covell, K., Education in the Best Interests of the Child: A Children's Rights perspective on Closing the Achievement Gap. University of Toronto Press. p. (in English)
26. Shalikashvili, M. & Mikanadze, G., Juvenile Justice. Tbilisi, Freiburg, Strasbourg: Second Edition. p. (in Georgian)
27. Article 73, Juvenile Justice Code. [viewed 16 June 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16 (in Georgian)
28. Article 74, Juvenile Justice Code. [viewed 16 June 2020]. Available from: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16 (in Georgian)